


ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ქ. #36 და #34

მდებარე სახლების რეაბილიტაციის პროექტი

საკონკურსო წინადადება

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების
მენეჯმენტის გეგმა და სტრუქტურა



კავშირის აღმასრულებელი დირექტორი -  ლ. ბოკუჩავა

პრ. ხელმძღვანელი, არქ.-რესტავრატორი -  მ. ბოჭოიძე



ქველების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს
საქართველოს ეროვნული კავშირი



ICOMOS საქართველო
თბილისი 2014

**რეაბილიტაციის კვლევითი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენა**

ზოგადი ინფორმაცია

ძეგლის სტატუსი - დავით აღმაშენებლის ქ. #36 და #34 მდებარე სახლები წარმოადგენენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

შენობის მხატვრულ-ისტორიული ღირებულებისა და მისი ავარიულობის გამო ა(ა)იპ ქ. თბილისის განვითარების ფონდის 2015 წ.-ის პროგრამით დაიგეგმა თბილისში, დავით აღმაშენებლის ქ. #36 და #34 მდებარე საცხოვრებელი სახლების სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოთა საკვლევი-საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. შესაბამისად, აღნიშნული შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტის მომზადებისთვის ქ. თბილისის განვითარების ფონდმა გამოაცხადა კონკურსი რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვაზე.

წინამდებარე, საკონკურსო წინადადება – ” ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. #36 და #34 სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა” - მომზადდა ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (ICOMOS საქართველო) მიერ.

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგში მოღვაწე არასამთავრობო, პროფესიულ ორგანიზაციას.

თბილისი 0105

ბეთლემის აღმართი 16ბ

Tel/Fax: 995 32 2984527

მობილური: 599 55 16 97

ელ-ფოსტა: icomosge@gol.ge / merab.bochoidze@gmail.com

<http://www.icomosge.org.ge>

1. ძირითადი ინფორმაცია

1.1. კულტუროლოგიური ინფორმაცია და წინასწარი რეკომენდაციები ნაგებობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით

ა. საცხოვრებელი სახლი, დავით აღმაშენებლის №36



თბილისის პირველი გილდიის ვაჭრის ერასტი ჭავჭავანიძის სამსართულიანი სახლი მოდერნის სტილის თბილისურ საცხოვრებელ შენობათა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. საინტერესოა იგი თავისი საფასადო სახით და ინტერიერის მხატვრული გაფორმებითაც. „რუსული“ აგურით აგებული შენობის გეგმარება II-ს მსგავსი ფორმისაა და განივად არის მიმართული ქუჩისკენ. გრძელი ფასადი ქუჩისკენ ნაღესი ფორმებით გამოდის. შიდა მართკუთხა ეზო მთლიანად მოცული იყო ხის გალერეა-აივნებით.

XXს-ის დასაწყისში აგებული სახლი საკმაოდ დაზიანებულია, განსაკუთრებით ეზოს ფასადები სხვადასხვა ფორმისა და სახის შემინვით. აქვს უსახო ამოშენება და მიშენებებიც. გადაკეთებულია ფასადის I სართულის ღიობებიც, სადაც თავიდანვე კომერციული მოცულობები იყო განლაგებული. დაზიანებულია საფასადო ნაღესი კვეთილი შემკულობაც.

შემორჩენილი კონსტრუქციული და მხატვრული დეტალებით შესაძლებელი ჩანს, როგორც ქუჩის ასევე ეზოს ფასადების და სადარბაზოს თავდაპირველი მოცულობითი სტრუქტურის და მხატვრული სახის დადგენა. იგივე საკითხის გადაწყვეტაში დაგვეხმარება ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალა. მოსაძიებელია თავდაპირველი მშენებლობის პროექტი. ასევე მსგავსი ტიპის ნაგებობების ანალიზი, მათი როგორც ანალოგიების მოშველიების თვალსაზრისით.

ყოველივე აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სრულყოფილი ფიქსაციისა და არქიტექტურული კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება ნაგებობის თავდაპირველი სახის (არქიტექტურული ნაღესი ფორმების, ფერის) სრული აღდგენა.

ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია რომლის სტატუსი ითვალისწინებს რესტავრაციას. ამიტომ, აქ თუ ადაპტაცია და სახეცვლილება იქნება განსაზღვრული, ეს ქმედება ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. აქ შემორჩენილია XIX ს-ის სამშენებლო ხელოვნებისა და მხატვრული გაფორმების სხვადასხვა ხერხი და ნიმუში, რისი დაცვაც აუცილებელია როგორც ფასადებზე ასევე ინტერიერშიც.

ადაპტაცია შეიძლება განხორციელდეს ქუჩის ფასადის I სართულის ღიობების და ზოგ შემთხვევაში ეზოს აივნების რეაბილიტაციისას. ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროექტირებისას გაანალიზებული იქნება ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული სახე და ახალი მოცულობა შექმნის თავდაპირველი კომპოზიციის ადეკვატური არქიტექტურული სტილის მქონე სტრუქტურას.

ამგვარად, აქ მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ ადაპტირებული ფორმების სტილისტური და მხატვრული თავსებადობა არქიტექტურული ძეგლის თავდაპირველ სახესთან და გარანტირებული იყოს სამუშაოს შესრულების ხარისხი.

ბ. საცხოვრებელი სახლი, დავით აღმაშენებლის №34



ქუჩის პერიმეტრზე მდგომი ორსართულიანი ნაგებობა თბილისურ საცხოვრებელ სახლთა საინტერესო მაგალითია. ქართული აგურით აგებული შენობის გეგმარება II-ს მსგავსი ფორმისაა და გრძივად არის მიმართული კვარტალის სიდრმისკენ. შენობის ფასადი ფსევდორენესანსული სტილისაა, მორთული სანდრიკებიანი სარკმლებით, კანელურებიანი პილასტრებითა და ოვალური ფლანგური ფრონტონებით. ეზო მთლიანად მოცული იყო ხის გალერეა-აივნებით.

1882 წელს აგებული სახლი საკმაოდ დაზიანებულია. ეზოს აივნების ნაწილი ამოშენებული და ჩაშენებულია უსახო მოცულობებით. სხვადასხვა ფორმებით არის შეცვლილი ქუჩის ფასადის I კომერციული სართულის დიობებიც. დაზიანებულია საფასადო ნაღესი კვეთილი შემკულობაც. უსახო ცხაურშია ჩასმული II სართულის ლითონის ჭვირული კიდული აივანი.

აქაც, შესაძლებელი ჩანს ქუჩის I სართულის და ასევე ეზოს ფასადების თავდაპირველი მოცულობითი სტრუქტურის და მხატვრული სახის დადგენა, შემორჩენილი კონსტრუქციული და მხატვრული დეტალებით, რაშიც დაგვეხმარება ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალა. მოსაძიებელია თავდაპირველი მშენებლობის პროექტი.

ამ შემთხვევაშიც სრულყოფილი ფიქსაციისა და არქიტექტურული კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება ნაგებობის თავდაპირველი სახის (არქიტექტურული ნაღესი ფორმების, ფერის) სრული აღდგენა.

ადაპტაცია შეიძლება განხორციელდეს ქუჩის ფასადის I სართულის დიობების და ზოგ შემთხვევაში ეზოს სახეცვლილი აივნების რეაბილიტაციისას. ოღონდ მხოლოდ იმ პირობით თუ პროექტირებისას გაანალიზებული იქნება ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული სახე და ახალი მოცულობა შექმნის თავდაპირველი კომპოზიციის ადეკვატური არქიტექტურული სტილის მქონე სტრუქტურას.

ხელფონებთანმცოდნე - გია ჭანიშვილი

12. კონსერვაცია/ძველის სტატუსი

შენობა წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

2. არსებული მდგომარეობა

2.1-1. შენობის ფიზიკური მდგომარეობა

(იხილეთ დანართი-1; ტექნიკური მდგომარეობა - სახლი #36 და სახლი#34)

2.1-2. დავით აღმაშენებლის N 36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მოხატულობის ზოგადი დახასიათება, დაზიანებათა იდენტიფიკაცია, ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება და მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი რეკომენდაციები.

(იხილეთ დანართი-2; სახლი #36)

2.2 მეპატრონეობა

თბილისი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #36 მდებარე შენობა აშენებულია 1903 წელს და წარმოადგენს ცნობილი მეცენატის და საზოგადო მოღვაწის - ერასტი ჭავჭავანიძის საცხოვრებელ სახლს. ხოლო #34 მდებარე სახლი აგებულია 1882 წელს. 1921 წლიდან, გასაბჭოების შემდგომ პერიოდში შენობა წარმოადგენდა კომუნალურ საკუთრებას, ხოლო ბოლო პერიოდში კერძო მაცხოვრებელთა თანასაკუთრებას.

2.3. ძეგლის კონსერვაციული მდგომარეობა

2.3.1. ავთენტურობა

მიუხედავად რთული ისტორიისა და ამასთან დაკავშირებული მრავალი დანაკარგისა, ძეგლი იმ ობიექტებთან რიცხვს მიეკუთვნება, სადაც თავდაპირველი გადაწყვეტის მთლიანობა და ავთენტურობა მეტნაკლებად მოღწეულია ჩვენამდე.

წინასწარული დათვალიერების საფუძველზე შესაძლოა აღინიშნოს, რომ ძეგლის ფიზიკური ავთენტურობა გვიანდელი შეკეთებებისა და მიმდინარე რემონტების დროს გარკვეულად შელახულია, ეს ძირითადად შეეხება შენობის ინტერიერს, მის გეგმარების ცვლილებას და კედლების ზედაპირების სხვადასხვა პერიოდში არაერთხელ შეკეთებარემონტს; თუმცა გადარჩენილია და ძირითადად პირვანდელი სახით შემორჩენილ მდგომარეობაშია ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციები და არქიტექტურული დეტალები, შესაბამისად ნაგებობის კონსერვაციული მეთოდოლოგია ნორმებში ჯდება ხოლო კედლების ზედაპირების თავდაპირველი ფერისა და ხასიათის დადგენა ადგილზე კვლევის სერიოზულ სამუშაოს მოითხოვს და სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაწყვეტისას აუცილებელ და მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

2.3.2. პროფესიული დოკუმენტაცია

პროფესიული დოკუმენტაცია საპროექტო სახლზე არ იძებნება; მოსახლეობასთან გასაუბრებით ირკვევა რომ 2014 წელს #34 შენობის მაცხოვრებელთა ინიციატივით შესრულებულია ამ შენობის საძირკვლების გამაგრების პროექტი.

3. რეაბილიტაციის პროექტის მომზადება

3.1. ზოგადი მეთოდოლოგია

ძეგლის რეაბილიტაციის საკვლევი და საპროექტო სამუშაოები დაეფუძნება კონსერვაციული მეთოდოლოგიის ძირეულ პრინციპებს. გარდა ისეთი ფუნდამენტური სახელმძღვანელო პრინციპებისა, როგორცაა ვენეციის ქარტია (1964); ბურას ქარტია (1997 განახლებული 1999); ძეგლების, შენობათა ჯგუფების და ღირსშესანიშნაობათა აღნუსხვის პრინციპებს (1996), რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის შემუშავებისას ზედმიწევნით იქნება გათვალისწინებული ისეთი სპეციფიური ქარტიები და რეკომენდაციები, როგორცაა ნარას დოკუმენტი ავთენტურობაზე (1994).

პირველ რიგში მოხდება ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება და ნაგებობის რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის აუცილებელი სამუშაოების განსაზღვრა.

ძეგლის ფიქსაცია განხორციელდება როგორც ტრადიციული მეთოდით-ხელის იარაღებით ზომვა, ასევე გამოყენებული იქნება თანამედროვე ლაზერული საზომი და შვეულ-თარაზოს იარაღები;

შენობის ფასადის აზომვები შესრულდება ლაზერული სკანირებით, დამუშავდება შესაბამის პროგრამაში და შემდგომ განხორციელდება მისი გამოხაზვა ციფრულ ფორმატში.

საკვანძო მონაკვეთებში და არქიტექტურულ დეტალებზე შესრულდება ფერის კვლევის თვალსაჩინო ტესტირებები და დამუშავდება რეკომენდაციები (ეს სამუშაო განხორციელდება ნორვეგიული გამოცდილების სერთიფიცირებული შესწავლის საფუძველზე). ასევე შესრულდება შენობის ინტერიერში (სადარბაზოში) კედლების მოხატულობისა და დეკორატიული ჭერის ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრა და მათი რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროექტის დამუშავება.

შენობის სირთულის, მაღალმატვრული ინტერიერებისა და სადარბაზოში უნიკალური მონუმენტალური მხატვრობის არსებობის გამო პროექტში გათვალისწინებული გვაქვს მხატვრობის მდგომარეობის სინჯების და ანალიზების გადამოწმება რომში, საერთაშორისო სასწავლო ცენტრში, სადაც ჩვენი ორგანიზაციის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი ლელა ნინოშვილი გადის სტაჟირებას. ეს დამატებით მოგვცემს საშუალებას რათა კვლევა-პროექტირების დროს მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული საერთაშორისო გამოცდილება.

შექმნილ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, რაც საფუძველად დაედება რესტავრაცია-რეაბილიტაციის განხორციელებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი განსაკუთრებული თვალსაჩინოებითა და მაღალმხატვრულობით გამორჩეული ამ ნაგებობის ჯეროვანი შენარჩუნება.

ამას გარდა, სასურველი საბოლოო შედეგის მისაღწევად განმსაზღვრელი იქნება მაღალი ხარისხისა და ავთენტური, ტრადიციული მასალის გამოყენება და გარეგნულ ეფექტებზე ორიენტირებული მიდგომებისა და იაფფასიანი მასალით იმიტაციური მეთოდის გამორიცხვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი გამორჩეული არქიტექტურულ-ურბანული და კულტურულ-ისტორიული ძეგლის განსაკუთრებული ფასეულობის შენარჩუნება, რომელიც ერთის მხრივ აცოცხლებს XX ს-ის დამდეგ ეპოქას და ამავე დროს, სავსებით პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების წარმატებული განხორციელება ძირითადად არის დამოკიდებული საავტორო საზედამხედველო სამუშაოების აქტიურ თანამშრომლობაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს პროექტის მიხედვით ჩასატარებელი ფიზიკური სამუშაოების სრულ პროცესზე.

გასაწევი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერა

მოქმედებათა გეგმა და მეთოდოლოგია

1. კვლევა

პროფესიული დოკუმენტაცია

1.1. გრაფიკული ფიქსაცია

ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე შესრულდება საპროექტო ობიექტის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი, (დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ნახაზები); ამ სამუშაოს განხორციელებისათვის ჩატარდება საველე სამუშაოები, რომლის შედეგად მივიღებთ არსებული მდგომარეობის გრაფიკულ მასალას ვიზუალურად შესამჩნევი ინფორმაციის დატანით (განვითარების ეტაპები, გვიანი ჩარევები, სამშენებლო მასალა, კონსტრუქციული დეფორმაცია, და ა.შ).

შესრულდება შენობის ფიზიკური მდგომარეობის საინჟინრო-კონსტრუქციული გამოკვლევა.

შესრულებული ანაზომების საფუძველზე მომზადდება შენობის ფიზიკური გამაგრების პროექტი და ფასადების რესტავრაციის მეთოდოლოგია.

1.2. ფოტოფიქსაცია

საველე სამუშაოების ჩატარების პროცესში შესრულდება საპროექტო ობიექტების ფასადებისა და ინტერიერების დეტალური, ციფრული ფოტო-ფიქსაცია. ინტერიერებში ფოტო-ფიქსაცია ჩატარდება ძირითადად სადარბაზოს და აივნებს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როცა ბინებში დაცული განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საპროექტო ჯგუფისთვის. გადაღებული ფოტომასალა დამუშავდება და მოხდება თემატური სისტემიზაცია და დალაგება.

1.3. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

ბიბლიოგრაფიული კვლევის შედეგ, მოხდება სახელმწიფო რეგისტრაციის და აღრიცხვის შედეგად შექმნილი ინფორმაციის (სხვა და სხვა წელს შედგენილი პასპორტები, სააღრიცხვო ბარათები) მოპოვება. საქართველოს ცენტრალურ არქივში ჩატარდება ორიგინალური საპროექტო წინადადების მოკვლევა (თუ ასეთი არის დაცული).

საველე სამუშაოების შედეგად დამუშავდება საპროექტო ობიექტების მხატვრულ-არქიტექტურული რეზიუმე, ხოლო საარქივო კვლევის შედეგად მოძიებული მასალების საფუძველზე მოხდება შენობების განვითარების ეტაპების ანალიზი. თუ ფასადების აუვთენტური დიზაინს სერიოზული დანაკარგები აქვს, შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოძიებული იქნება ანალოგიები.

1.4. საინჟინრო კვლევა

საპროექტო ობიექტების მზიდი კონსტრუქციების ფიზიკური მდგომარეობის დასადგენად ჩატარდება საველე შესწავლა. საძირკვლების მდგომარეობის დასადგენად გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს რამდენიმე შურვის

გაკეთება. ასევე გაანალიზდება განვითარების პროცესში სხვა და სხვა დროს ჩატარებული როგორც გამაგრების მიზნით, ისე საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ჩარევების მართებულობა და უარყოფითი შედეგები. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთება მოქმედებათა რეკომენდაციები.

სადრენაჟო სამუშაოების დაგეგმისთვის მოხდება საპროექტო ობიექტებზე წყლის გადაყვანის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა – სახურავი, წყლისა და კანალიზაციის კომუნიკაციები, სანიადვრე სისტემა.

შესრულდება შენობის საერთო სივრცეების (შიდა ქსელის გარდა) საინჟინრო ქსელების მოწესრიგების პროექტი.

1.5. სამშენებლო მასალის კვლევა

საველე კვლევა ჩატარდება საპროექტო ობიექტების დუღაბისა და ნალესობის სინჯებს. გაანალიზდება აღებული სინჯების შემცველობა. დამუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები ძირითადი მასალების გამოყენებისა და მათი თავსებადობის გათვალისწინებით.

1.6. არქიტექტურული დეტალების ზედაპირის ფერის კვლევა.

შენობის საკვანძო მონაკვეთებში და არქიტექტურულ დეტალებზე შესრულდება ზედაპირის ფერის კვლევის თვალსაჩინო ტესტირებები და კვლევა; დამუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები თავდაპირველი ფერის მითითებით. (ეს სამუშაო განხორციელდება ნორვეგიული გამოცდილების სერთიფიცირებული შესწავლის საფუძველზე).

2. პროექტირება

2.1. არქიტექტურული/ავთენტური დიზაინის აღდგენა

კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთება, როგორც იდეალური მოდელი აღდგენისა, ისე მიღწევადი ამოცანები. იქ სადაც სპონტანური ჩარევით ძირეულად ხელყოფილია საპროექტო ობიექტის მხატვრულ-არქიტექტურული ფასეულობა დაექვემდებარება რესტავრაციას. იმ შემთხვევაში, როცა არსებული მეპატრონეობის სიტუაცია არ იძლევა სამართლებრივ საშუალებას თავდაპირველი სახით აღდგენისა, დამუშავდება ამ მონაკვეთის შეძლებისდაგვარად ავტორისეული ან “თბილისური სახლის” ტრანსფორმირებადობის “ენის” გამოყენების ვარიანტები. იმ შემთხვევაში, თუ დაკარგულია დეკორის რომელიმე ელემენტი, შემოთავაზებული იქნება კვლევის შედეგად გამოვლენილი ანალოგიების ვარიანტები.

რესტავრაციის პროექტი შესრულდება სათანადო მაშტაბში. გრაფიკული მასალა მკაფიოდ მიუთითებს ჩარევის სხვა და სხვა ტიპოლოგიას (არსებული, რეკონსტრუქცია, “სამკურნალო”, გადაწყობა, დაშლა-აღდგენა და ა.შ). შეიქმნება რესტავრაციის პროექტის ელექტრო ვერსია.

2.1-1. სადარბაზოს კედლის მხატვრობის აღდგენა

შენობის არქიტექტურული რესტავრაციის პროექტთან ერთად დამუშავდება აღმაშენებლის ქ. #36 შენობის სადარბაზოს კედლის მხატვრობის რესტავრაცია-კონსერვაციის რეკომენდაციები და შესაბამისი პროექტი (იხილეთ დანართი-2).

2.2. კონსტრუქციული გამაგრება-გაძლიერების პროექტი

საინჟინრო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დამუშავდება საინჟინრო-კონსტრუქციული სამუშაოთა ნახაზები და შესაბამისი სპეციფიკაციები.

2.3. სამშენებლო მეთოდი და მასალა

პროექტირების პერიოდში დაზუსტდება ავთენტური მასლებისა და მეთოდების რაობა, დამუშავდება კონკრეტული წინადადებები განხორციელების პროცესში, როგორც ავთენტური მასალის, ისე მასთან თავსებადი მასალის გამოყენების შესახებ; საამშენებლო მეთოდისა თუ მისი ეტაპებისა და ქრონოლოგიის შესახებ.

2.4. ხარჯთაღრიცხვა

სამუშაო ნახაზების დასრულების შემდეგ შესრულდება სარესტავრაციო-გამაგრებითი სამუშაოთა ჩამონათვალი სამუშაო მოცულობების ჩვენებით და მასზე დაფუძნებით შედგება საწარმოო ხარჯთაღრიცხვა.

3.1. სამუშაო გეგმა:

- დავით აღმაშენებლის გამზირი N 36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი

I ეტაპის სამუშაო:

1. განმარტებითი ბარათი პრობლემის დეტალური აღწერით;
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა - მ. 1:2000 ან 1:1000;
3. ტოპოგრაფიული გეგმა - მ. 1:500 ან 1:200;
4. სისტემატიზირებული ფოტომასალა; საერთო ხედები, ფასადები, ინტერირი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ფრაგმენტები და დეტალები, დაზიანებების ამსახველი ფოტომასალა და ა.შ.; (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი);
5. შენობის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები რეალური მდგომარეობის ასახვითა და ლოკალური დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით, მამტაბში გამოხაზული ნახაზები; არქიტექტურული დეტალები, შაბლონები, ტექსტური აღწერილობა);
6. ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

7. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
8. მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში მოხდება არქეოლოგიური მეთვალყურეობა;
9. შენობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა; ტექნიკური ანგარიშის დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადება; (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება);
10. საშენი და მოსაპირკეთებელი მასალის მინერალურ პეტროგრაფიული კვლევა;
11. არქიტექტურული დეტალების თავდაპირველი ფერის კვლევა - ზონდირება და რეკომენდაციები;
12. რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;
13. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ძეგლის ისტორიულ-მხატვრულ-არქიტექტურული კვლევა და რეკომენდაციები);
14. კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია - გრაფიკული დოკუმენტაცია.
Dwg, ILL, ფაილები
 - საპროექტო ობიექტის საერთო ხედებისა და დეტალების ამსახველი უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია;
 - კედლის მხატვრობის შესრულების ტექნიკის და ტექნოლოგიის კვლევა - სინჯების ლაბორატორიული შესწავლა.
 - მოხატულობის საერთო მოცულობის განსაზღვრა;

II ეტაპის სამუშაო – საპროექტო სამუშაოები

1. არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები დამეთოდოლოგიის დასაბუთება); რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი: გენერალური გეგმა – მ. 1:200; სამუშაო ნახაზები: გეგმები, ჭრილები, ფასადები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები და დეტალები მ.: - 1:25, 1:20, 1:10 და 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;
2. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
3. საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:200;
4. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
5. საინჟინრო ნაწილის პროექტები:
 - კომუნიკაციების ქსელების მოწესრიგება ცალკეული ბინების შიდა ქსელების გარეშე.
 - წყალსადენი-კანალიზაცია;
 - ელექტრომომარაგება;

6. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
7. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა - დანართი 1);
8. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა - დანართი 2).
9. ინტერიერის მოხატულობის კონსერვაციის პროექტი:
 - მოხატულობის დაზიანებების კვლევის შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების არგუმენტირებული ჩამონათვალი დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
 - ავთენტურ მასალასთან თავსებადი საკონსერვაციო მასალების თანამედროვე საერთაშორისო საკონსერვაციო გამოცდილების შესაბამისად შერჩევა;
 - სადარბაზოს ინტერიერში არსებული კომუნიკაციის მოწესრიგების პროექტი;
 - სამომავლო თავდაცვითი ღონისძიებების განსაზღვრა;
 - კონსერვაციისათვის საჭირო სამუშაოებისა თუ აქტივობების ხარჯთაღრიცხვა და გეგმა გრაფიკი.

- დავით აღმაშენებლის გამზირი N 34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი

I ეტაპის სამუშაო:

1. განმარტებითი ბარათი პრობლემის დეტალური აღწერით;
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა - მ. 1:2000 ან 1:1000;
3. ტოპოგრაფიული გეგმა - მ. 1:500 ან 1:200;
4. სისტემატიზირებული ფოტომასალა; საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ფრაგმენტები და დეტალები, დაზიანებების ამსახველი ფოტომასალა და ა.შ.;
5. ფასადის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები რეალური მდგომარეობის ასახვითა და ლოკალური დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით, მასშტაბში გამოხაზული ნახაზები; არქიტექტურული დეტალები, შაბლონები, ტექსტური აღწერილობა);
6. ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
7. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
8. მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში მოხდება არქეოლოგიური მეთვალყურეობა;
9. საჭიროების შემთხვევაში საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა; ტექნიკური ანგარიშის დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადება; (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება); ანგარიშს თან უნდა ახლდეს ლითოგრაფიული ქრილები, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;

II ეტაპის სამუშაო – საპროექტო სამუშაოები

1. არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები დამეთოდოლოგიის დასაბუთება); რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი: გენერალური გეგმა – მ. 1:200; სამუშაო ნახაზები: გეგმები, ჭრილები, ფასადები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები და დეტალები მ.: -1:25, 1:20, 1:10 და 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;
2. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
3. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
4. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
5. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (დანართი 1);
6. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (ფორმა-დანართი 2).

3.4. პროფესიული რესურსები

საკვალიფიკაციო და პროფესიული მონაცემები იხილეთ დანართი №4, №5 და CV-ბი.

თბილისი 03.03.2015